სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
აღმასრულებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

თარიღი: 31 მარტი, 2022 წელი
სხდომის დაწყების დრო: 11:00 საათი
ადგილმდებარეობა: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. 11.

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: **დავით ასათიანი (თავმჯდომარე), გიორგი ტურაზაშვილი, როინ მიგრიაული, რაისა ლიპარტელიანი, მარიამ კუბლაშვილი, ციცინო ცხვედიანი, ია გაბედავა, თორნიკე ბაქრაძე, ტარიელ კაკაბაძე, ინგა სეხნიაშვილი.**

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი. შესაბამისად, მათ მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ სრულად აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული

გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს - ხათუნა ხუხუას, მარიამ ჯავახიშვილის და გიორგი მარტინენკოს მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 2. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა.

წევრები გაეცნენ "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 21^2 მუხლის, პირველი პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის თანახმად დავით ჭანტურაიას, თამარი გერაძის, გიორგი ბეგაშვილის, მაკა ელიბაშვილის, ირაკლი შაკიაშვილის და <u>2022 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრების:</u> სიმონ გოგილაშვილის, მაყვალა ხურციძის და ლიკა სანოძის განცხადებებს წევრობის შეჩერების შესახებ.

წევრებმა განაცხადეს, რომ ჩამოთვლილ პირთაგან, რომელთაც ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, გადასახდელი აქვთ 2022 წლის საწევრო, ეცნობოთ, რომ "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 21^2 მუხლის, პირველი პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატისთვის წევრობის შეჩერების შესახებ. თუმცა წევრობის შეჩერება მანამდე არსებული დავალიანების გაუქმების საფუძველი არ არის და ამავე კანონის 21^3 მუხლის პირველი პუნქტის, "ზ" ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს შეუწყდება ასოციაციის წევრობა. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს 2012 წლის 30 მაისის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად: "საწევრო დავალიანების მქონე პირს, რომელიც მომართავს ასოციაციას პირადი განცხადებით, წევრობის შეჩერების შესახებ, „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის, 21^2 მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 21^3 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით), „ა" ქვეპუნქტის (პირადი განცხადების საფუძველზე) თანახმად, დაუკმაყოფილდეს განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ; თუმცა წევრობის შეჩერება არ გახდება უკვე არსებული საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულება პირს წევრობის შეჩერებამდე, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის (ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდებაყოვეწლიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე) თანახმად წარმოეშვა. საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, უფლებამოსილება შეჩერებულ ადვოკატს, "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის, 21^3 მუხლის, პირველი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუწყდება), „ზ" ქვეპუნქტის (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს) თანახმად, შეუწყდება ასოციაციის

წევრობა“.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21^2 მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს განმცხადებელთა მოთხოვნები წევრობის შეჩერების თაობაზე. ამასთან, 2022 წლის საწევრო დავალიანების მქონე პირებს - სიმონ გოგილაშვილს, მაყვალა ხურციძეს და ლიკა სანოძეს ეცნობოთ ინფორმაცია მათ მიმართ არსებული საწევრო დავალიანების და 2012 წლის 30 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, აგრეთვე ეცნობოთ იმის შესახებ, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში მათ შეუწყდებათ ასოციაციის წევრობა.

საკითხი 3. 2022 წლის 07 თებერვლის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 116-ე მუხლის, მე-2 პუნქტის, “დ” ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 118-ე მუხლის, 1-ლი პუნქტის შესაბამისად შემოსული 2021-2022 წლების საწევრო გადასახადის გადავადების შესახებ განცხადებების განხილვა.

წევრები გაეცნენ 2022 წლის 25 იანვრის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად 2022 წლის 07 თებერვალს დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 116-ე მუხლის, მე-2 პუნქტის, “დ” ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 118-ე მუხლის, 1-ლი პუნქტის შესაბამისად შემოსულ განცხადებებს 2021-2022 წლების საწევრო გადასახადის სხვადასხვა ვადით გადავადების შესახებ შემდეგი განმცხადებლებისგან: *თეონა გაბოძე, აკაკი მარტოლეკი, დიანა მარტიაშვილი, სალომე კალაიჯიშვლი, მაკა სალხინაშვილი, ნიკოლოზ შუბლაძე, ქეთევან სოფრომაძე, თამარ ნიკოლეიშვილი, ლია სარიშვილი, ნიკოლოზ ზაქარაია, დარეჯან ზედგენიძე, თამაზ სვანიშვილი, ავთანდილ გიორგაძე, ნუნუ მჭედლიშვილი, კახა კილაძე, ნუნუ ჩოჩელი, ლევან კაკაშვილი, მამუკა ლომიძე, ნატო ნებიერიძე, ეკატერინე გრძელიშვილი, ხათუნა შალიკაძე, იასონ ხარაბაძე, გიგა კოღუა, დავით ჩალაძე, მაია დემეტრაძე, ვილერი წოწორია, ვასილ ოსეფაშვილი, გოგიტა გოგლიჩიძე, რობერტ კუხალაშვილი, თენგიზ თევზაძე, სალომე ზურაბიანი, ალექსანდრე ლომთათიძე, მევლუდ ჯანჯღავა, თამარ ლომთაძე, ტრისტან ლომიძე, გელა გოგიჩაიშვილი, მირიან პეტრიაშვილი, მაია გულიაშვილი, თემირ გვიშიანი, მაია ტალახაძე, ია თოდუა, კახაბრ ჭიაბრიშვილი,ლაშა გოლუბიანი, მზია ფხალაძე, გიორგი გოლუბიანი, მურმან ქამადაძე, ლალი ეუაშვილი,*

მურადი მიქელაძე, ლევან ცალუღელაშვილი, ნუგზარ დიდიშვილი, ნინო დოლიძე, რუსუდან კვინიკაძე, მარიამ სებისკვერაძე, ნელი იასაღაშვილი, თამარ გოგორელიანი, ბიქტორ შერმადინი, ანა არჩვაძე, კახაბერ ჭიაბრიშვილი, ედუარდ აღდგომელაშვილი, ეკატერინე მახარაშვილი, გიორგი დოლიძე, ნატო პაპუაშვილი, შალვა გეწაძე, სოფიო ქანთარია, ლევან გიორგობიანი, ირმა ხარჩილავა, ნინო ამისულაშვილი, თეონა კვერნაძე, შორენა ბაღაშვილი, გიორგი იასაშვილი, თინა ბასილაშვილი, დიანა გვიშიანი, ალექსანდრე ახალაძე, ტოგო უჩაიძე, სპარტაკ კაპანაძე, თამთა ზენაიშვილი, ირაკლი შელია, ელმინ ისმაილოვი,ლედი კორძაძე, თამარ სანიკიძე, ანა გუჯარაიძე, სოფიო გოგლიჩიძე,სოსო მელაძე, ნინო ჩიმაკაძე, მანანა აფხაძე, ნიკა ნანობაშვილი, მარიამ ბიწაძე, ამბროსი ჭეიშვილი, ანა ჟღენტი, მარიკა ნიაზაშვილი, ხათუნა მარკოიშვილი, დოდო არობელიძე, სალომე ჩინჩალაძე, კახაბერ იოსელიანი, რამაზ კაკუშაძე, ბესიკ ღვინჯილია, ნინო აბაიშვილი, ილია ნაცვლიშვილი, მანანა გელაშვილი, მარინა ჯანიაშვილი, სალომე სამხარაძე, თეა ღვინჯილია, ხატია ქუბრიაშვილი, ივანე იორამაშვილი, ივანე სვიმონიშვილი, ავთანდილ ბუაძე, მაია კაკუბავა, ანა ყარასაშვილი, ლია ნადოლსკი, ინგა გუნია, ავთანდილ საყვარელიძე, მაგული ლიპარტელიანი, ინგა ბიბილეიშვილი, თინათინ ბასილაშვილი, ავთანდილ ბუაძე, მედეა ინასარიძე, თამთა დევდარიანი, თამარ იმნაიშვილი, ანა გოგოლაური, გიორგი ყაჯრიშვილი, ნაირა ჯუკაშვილი, თამარ ხუბულური, ბექა ჭინჭარაული, მაია სირაძე, ლია სარიშვილი, გიორგი ცომაია, ლეილა თავამაიშვილი, ქრისტინე ჩხიკვაძე, მანონი შენგელია, გიორგი ჩუთლაშვილი, ნანა რევაზიშვილი, მარიამ პაპოშვილი, თამარ ნუცუბიძე, ოლიკო კვინიკაძე, ნადეჟდა ბეგიაშვილი, ლიკა სანოძე, ნიკა გუჯაბიძე, ხათუნა კეჭაყმაძე, მაია ნინუა, ირაკლი კუჭუხიძე.

წევრებმა განაცხადეს, რომ წევრების მიერ მათ განცხადებებში მითითებულია სხვადასხვა ობიექტური გარემოები, რამაც გააძნელა მათთვის საწევრო შენატანის გადახდა. შესაბამისად, მიზანშეწონილია აღნიშნული კოლეგების მოთხოვნა დაკმაყოფილდეს და განისაზღვროს გონივრული ვადა საწევრო დავალიანების გადასახდელად. თავმჯდომარის ინიციატივის თანახმად, რასაც დაეთანხმნენ საბჭოს წევრებიც, ასეთ ვადად განისაზღვრა 2022 წლის 31 ოქტომბერი.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

(ა) ზემოაღნიშნულ პირთა განცხადებები საწევროს გადახდის გადავადების თაობაზე დაკმაყოფილდეს საწევრო დავალიანების გადახდის ვადის გადავადების ნაწილში და მათთვის საწევრო დავალიანების გადახდის საბოლოო ვადად განისაზღვროს არაუგვიანეს 2022 წლის 31 ოქტომბერი, 18:00 საათი;

(ბ) ეცნობოთ განმცხადებლებს მიღებული გადაწყვეტილებისა და გადავადებულ პერიოდში საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შედეგების თაობაზე;
(გ) გადაწყვეტილების აღსრულება დაევალოთ აღმასრულებელი საბჭოს კოორდინატორსა და ფინანსურ მენეჯერს.

საკითხი 4. 2021-2022 წლების საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემა.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2022 წლის 25 იანვარს აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, 2022 წლის 07 თებერვალს დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება 2021-2022 წლების საწევრო დავალიანების მქონე პირთა მიმართ წევრობის შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით.

აღმასრულებელი საბჭოს 28.02.2022 წლის გადაწყვეტილებით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და შესაბამისად საწევრო დავალიანების დაფარვის ვადა გაგრძელდა 15 კალენდარული დღით, 2022 წლის 15 მარტამდე.

აღმასრულებელი საბჭოს 15.03.2022 წლის გადაწყვეტილებით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის და შესაბამისად, საწევრო დავალიანების დაფარვის ვადა გაგრძელდა დამატებით კიდევ 16 კალენდარული დღით, 2022 წლის 31 მარტამდე.

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისთანავე საწევრო დავალიანების მქონე ადვოკატების ინფორმირება ინტენსიურად ხორციელდებოდა: საწევრო დავალიანების მქონე წევრთა სია გამოქვეყნდა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.gba.ge) და ამასთან, წევრებს ადმინისტრაციული წარმოების თაობაზე არაერთგზის გაეგზავნათ მოკლე ტექსტური შეტყობინებები ასოციაციისთვის ცნობილ საკონტაქტო ტელეფონის ნომრებზე. ასოციაციის წევრთა ნაწილმა მომართა ასოციაციას საწევრო დავალიანების გადახდის გადავადების თხოვნით, რაც დაკმაყოფილდა. მიუხედავად ამ ღონისძიებებისა, 2022 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრთა დაზუსტებული რაოდენობა არის 693, რომელთაგან 2022 წლის საწევრო დავალიანების გადავადების მოთხოვნით ასოციაციას მომართა 113-მა წევრმა. 2021 წლის საწევრო დავალიანება კი უფიქსირდება 207 წევრს, რომელთაგან 2021 წლის საწევროს გადავადების მოთხოვნით, ასოციაციას მომართა 39-მა ადვოკატმა.

თავმჯდომარემ წევრებს განუმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, აღმასრულებელი საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან გამოცემაზე უარის თქმის თაობაზე. "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 21^3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით, იღებს გადაწყვეტილებას წევრობის შეწყვეტის თაობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ფარულ კენჭისყრაზე დადგა საკითხი 2021-2022 წლების საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და ასოციაციის წევრობის შეწყვეტის თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ფარული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 9; წინააღმდეგი - 1; მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილება:

(ა) აღმასრულებელი საბჭოს 25.01.2022 წლის გადაწყვეტილებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე, გამოცემულ იქნას ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და 2021-2022 წლების საწევრო დავალიანების მქონე წევრებს შეუწყდეთ ასოციაციის წევრობა "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 21^3 მუხლის 1-ლი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო დავალიანების გადაუხდელობის გამო (დანართი #1: დავალიანების მქონე წევრთა სია);

(ბ) ასოციაციის წევრობაშეწყვეტილ წევრთა სია განთავსდეს ასოციაციის ვებ-გვერდზე www.gba.ge 1 (ერთი) თვის ვადით. ამასთან, ასოციაციის წევრობაშეწყვეტილ პირებს, ასოციაციისათვის ცნობილ მობილური ტელეფონის ნომრებზე გაეგზავნოთ მოკლე ტექსტური შეტყობინებები ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და მათთვის წევრობის შეწყვეტის თაობაზე;

(გ) ეცნობოთ ასოციაციის წევრობაშეწყვეტილ პირებს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის თარიღიდან, 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, საწევრო დავალიანების გადახდის შეთხვევაში, გადახდისთანავე აღუდგებათ ასოციაციის წევრობა.

(დ) 2021-2022 წლების საწევრო დავალიანების მქონე იმ წევრებს, რომელთაც აღმასრულებელი საბჭოს წინამდებარე გადაწყვეტილებით 2022 წლის 31 ოქტომბრამდე გადაუვადდათ საწევრო დავალიანების გადახდის ვადა, ეცნობოთ, რომ განსაზღვრულ ვადაში საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, მათზე გავრცელდება 31.03.2022 წელს გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი

აქტი და „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21³ მუხლის პირველი პუნქტის “ზ” ქვეპუნქტის თანახმად, შეუწყდებათ ასოციაციის წევრობა.

(ე) წინამდებარე აქტისა და მასში ასახული გადაწყვეტილებების ძალაში შესვლამდე, 2021-2022 წლების საწევრო დავალიანების გადავადების შესახებ ასოციაციაში შემოსულ განცხადებებზე გავრცელდეს აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საწევროს დავალიანების გადახდის ვადის 2022 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით გადავადებისა და აღნიშნულ ვადაში საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21³ მუხლის პირველი პუნქტის “ზ” ქვეპუნქტის თანახმად ასოციაციის წევრობის შეწყვეტის თაობაზე.

(ვ) გადაწყვეტილების აღსრულება დაევალოთ აღმასრულები საბჭოს კოორდინატორსა და ფინანსურ მენეჯერს.

საკითხი 5. ადვოკატთა ასოციაციის თბილისში მოქმედ კომიტეტებში წევრობის მსურველთა განცხადებების განხილვა.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია, რომ ასოციაციის თბილისში მოქმედ კომიტეტებში გაწევრიანების მსურველთა კანდიდატურები დამტკიცდა მ/წლის 21 თებერვალს აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე; თუმცა რიგი კომიტეტების შემადგენლობა არ დაკმპლექტდა დებულებით გათვალისწინებული რაოდენობით.

დღევანდელ სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილი იყო კომიტეტების თავმჯდომარეების მიერ რეკომენდირებული შემდეგი კანდიდატურები:

1. ახალგაზრდა ადვოკატთა კომიტეტი - სალომე ვეფხვაძე, ნუგბარა როსტიაშვილი.

2. შრომის სამართლის კომიტეტი - ირაკლი მხეიძე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს თბილისში მოქმედი კომიტეტების წევრობის კანდიდატურები სხდომაზე წარმოდგენილი სახით.

საკითხი 6. ადვოკატთა ასოციაციის რეგიონულ კომიტეტებში წევრობის მსურველთა განცხადებების განხილვა.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია, რომ ასოციაციის სამეგრელო - ზემო სვანეთის სამოქალაქო სამართლის რეგიონულ კომიტეტში გაწევრიანების მიზნით ასოციაციაში

შემოვიდა 9 მსურველის - ნანა პაპავას, ასმათ ბერაიას, ივლიანე ხურცილავას, ნინო ბუკიას, სვეტლანა შკრიაბაის, რონა ბუბუტეიშვილის, ლევან ანთაძის და ბელა წულაიას განცხადება.

ხსენებული კომიტეტის თავმჯდომარის მიერ რეკომენდაცია გაეწია ყველა კანდიდატს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის სამეგრელო -ზემო სვანეთის სამოქალაქო სამართლის კომიტეტის წევრობის კანდიდატურები სხდომაზე წარმოდგენილი სახით.

საკითხი 7. ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების დამტკიცება.

წევრები გაეცნენ ანა ხარაიშვილის, ირინა ხათაშვილის და ანა ჯალაღონიას განცხადებებს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად დამტკიცების შესახებ. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლები აკმაყოფილებენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად ანა ხარაიშვილის, ირინა ხათაშვილის და ანა ჯალაღონიას კანდიდატურები. გადაწყვეტილების ასახვა სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა რეესტრში დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

საკითხი 8. ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მე-7 ნაკადის მონაწილეთა სიის დამტკიცება.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ 2022 წლის 31 იანვრიდან 07 მარტამდე მიმდინარეობდა პროფესიული ადაპტაციის პროგრამაზე მსურველთა რეგისტრაცია. ჯამში დარეგისტრირდა 216 მონაწილე, რომლებიც აკმაყოფილებენ პროფესიული ადაპტაციის დებულების მიერ დადგენილ მოთხოვნებს.

წევრებმა განაცხადეს, რომ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მე-5 მუხლის, 5.8 პუნქტის თანახმად, განმცხადებელთა სიას ამტკიცებს აღმასრულებელი საბჭო.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მონაწილეთა სია სხდომაზე წარმოდგენილი სახით და მათ მიენიჭოთ პროგრამის მონაწილის სტატუსი (დანართი 2).

საკითხი 9. 2022 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების თარიღებში ცვლილების შეტანა.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ 2022 წლის 21 თებერვალს აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცდა 2022 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების თარიღები, რომელიც დაემთხვა საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის საგამოცდო სესიების თარიღებს. შესაბამისად, საჭირო გახდა ალტერნატიული საგამოცდო სივრცის მოძიება და საბოლოოდ არჩევანი შეჩერდა თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის განახლებულ საგამოცდო დარბაზზე. ცვლილება შევიდა ზემოთხსენებულ გამოცდის თარიღებშიც, რომელიც შემცირდა და გამოცდის ჩატარების თარიღებად წარმოდგენილია 2022 წლის 23, 26, 27, 28 ივნისი და ტესტების გასაჩივრების თარიღად - 2022 წლის 2 ივლისი.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დამტკიცდეს 2022 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების თარიღებად 2022 წლის 23, 26, 27, 28 ივნისი და გასაჩივრების თარიღად 2022 წლის 02 ივლისი.

საკითხი 10. სხვადასხვა:

(ა) ადვოკატთა ასოციაციის წევრთა ერთიან სიაში ცვლილებების შეტანის საკითხის განხილვა.

აღმასრულებელი საბჭოს წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია ასოციაციის წევრის - რუსუდან გაბოძის (სიითი#0904) გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით (წარმოდგენილი იყო გარდაცვალების მოწმობის ასლი). მათ განაცხადეს, რომ საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21^3 მუხლის, მე-2 პუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ცნობად იღებს ასოციაციის წევრის

გარდაცვალების ფაქტს და შეაქვს შესაბამისი ცვლილება ასოციაციის წევრთა ერთიან სიაში.

ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

(ა) ცნობად იქნას მიღებული რუსუდან გაბოძის (სიითი#0904) გარდაცვალების ფაქტი და იგი ამოღებულ იქნას ასოციაციის წევრთა ერთიანი სიიდან.
(ბ) გადაწყვეტილების აღსრულება დაევალოს აღმასრულებელი საბჭოს კოორდინატორსა და ფინანსურ მენეჯერს.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე